საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიაღის ეროვნული სააგენტო

KA020169656408321

მისამართი: თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: 0 **32 2 95 00 30**

 # 22/7046 **05 / ოქტომბერი / 2021 წ.**

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

თქვენი მიმდინარე წლის 07 სექტემბრის N9474/01 წერილის შესაბამისად, წარმოგიდგენთ შესწორებულ სკრინინგის განცხადებას:

„100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს“ პროექტის ფარგლებში, სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო გეგმავს გამოაცხადოს აუქციონი ხონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის (მინერალური პიგმენტების (მუმია) მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის ხონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე მინერალური პიგმენტების მოპოვების სკრინინგის განცხადებას.

ლიცენზია გაიცემა 20 წლის ვადით, ხოლო 20 წლის განმავლობაში (ჯამურად), მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა შეადგენს 121480 ტონას, წელიწადში საშუალოდ 6074 ტონას. თუმცა, ლიცენზიანტს უფლება აქვს წელიწადში მოიპოვოს 6074 ტონაზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს ლიცენზიით დადგენილი მოცულობისა (121480 ტონა).

გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით.

სალიცენზიო ობიექტი, რომელიც წარმოდგენილია ერთ უბნად, მდებარეობს ზღვის დონიდან 290-430 მ. სიმაღლეზე, ხონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას.

სალიცენზიო ობიექტის სიახლოვეს (660-920 მ) მდებარეობს ეკლესია და მონასტერი.

სალიცენზიო ობიექტი ფიქსირდება ტყის ფონდის ტერიტორიაზე.

ობიექტი არ ხვდება დაცულ ტერიტორიებზე.

რაც შეეხება საქმიანობის სხვა მახასიათებლებს (მაგ: ნარჩენების წარმოქმნა, ხმაურის დონე და ა.შ.), აღნიშნული დამოკიდებულია სამუშაოების წარმოების პროცესზე და წინასწარ არ ვფლობთ ინფორმაციას, თუ რა სახის ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს აღნიშნულმა საქმიანობამ გარემოზე.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული საქმიანობა გარემოზე შეფასების საქმიანობას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

დანართი: გეოსაინფორმაციო პაკეტი - 4 გვ. ტოპ. რუკა - 1გვ. shape ფაილი.

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის
პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნანა ზამთარაძე